სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 5 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ყველას მაიმწერლებმ[illegible] ... ხოლ უნდა გამოგზავნონ ... კიო. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 238 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 238

მეორე საქალებო გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, მესამე კლასის მოსწავლე

ვერა მგალობლიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 5 ნოემბერს, მალაკანის ქუჩა, № 29 წმინდა ნინოს ეკლესიაზე.

ძმები: სერაპიონ, ლავრენტი და ეპიფანე ქანთარიები გამოვსთქვამთ უღრმეს მწუხარებას ძვირფასი მეგობარ მეზობლების, ძმათა

სილ და პალადი ქანთარიას

დაღუპვის გამო, უცხადებთ თანაგრძნობას ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ.

გულ. დამწვარნი: მეუღლე დარიკო გიგოს ასული ნიკოლაიშვილისა, ძმები: ივანე, ლუკა, თედო ონისიმეს ძენი ნიკოლაიშვილები, ბიძები: პარმენ, აკაკი ალმასხანის ძენი ნიკოლაიშვილები, ცოლის ძმა პავლე გიორგის ძე წითურიშვილი მწუხარეობით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

რაჟდენ ონისიმეს ძე ნიკოლაიშვილი

(2—1)

ერასტი ივანეს ძე ქიქინაძე, შალვა ბითურით, მიხეილ და კონსტანტინე (კოკა) და ელისაბედ იოსების ასული კოპაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორენის დედა და მესამესი შვილი

ნინო გრიგოლის ასული ჭავჭანიძისა.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ნახევარ საათზე. გამოსვენება ხუთშაბათს, 7 ნოემბერს. (3—1)

ღრმად დაწუხრებულნი: მეუღლე გრიგოლ მიხეილის ძე იტრიევი, უდროვოდ დაობლებული შვილები: თამარა, მიშა, სერიოჟა, ვოლოდია და ლიუბა გრიგოლის ძენი, დედამთილი ანუშკა ესტატეს ასული იტრიევისა; მაზლები: ვასო, ნიკო, ვანო, ოჯახობით, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი

გულჩინა გალუსტას ასულის იტრიევის

უდროვოთ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება სამშაბათს, 5 ნოემბერს ქ. გორში. (1—1)

ღრმად დაწუხრებულნი: უბედური დედა, მამა ილია ანდრიას ძე მგალობლიშვილი და გულდამწვარი, შავი ძაძით მოსილი ვარდო მგალობლიშვილისა, ძმები და მფარველი უსაყვარლესი დისა კატულია და ვალიკო მგალობლიშვილები, ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს პირველი ორის უსაყვარლესი შვილის, ხოლო დანარჩენთა ძვირფასი დის, მეორე ქალთა გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფის

ვერიჩქას

უდროვოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავების დღე დანიშნულია 6 გიორგობის თვის, შუადღის ორ საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე. მალაკნის ქუჩა № 29. (1—1)

ოზურგეთის მომხმარებელთა საზოგადოება „ეკონომიის“ გამგეობა და მოსამსახურენი, გულ დაწყვეტილნი აუწყებენ საზოგადოებას გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის

ილია ყარამანის ძე ცეცხლაძის

გარდაცვალებას.

ოზურგეთის სავაჟო გიმნაზიის მასწავლებლები ღრმა გულის ტკივილით აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ უძვირფასესი ამხანაგის, გიმნაზიის დირექტორის

ილია ყარამანის ძე ცეცხლაძის

უდროოდ გარდაცვალებას.

ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს 1 ნოემბერს უდროოდ გარდაცვლილ ოზურგეთის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორის

ილია ყარამანის ძე ცეცხლაძის

დაკარგვის გამო.

## „დაშნაკცუტიუნი“ და კონფერენცია-არბიტრაჟი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ წინადადებით მიმართა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებს, რომ მათ შორის სადავო საკითხების გადასაწყვეტათ მოწვეულ იქნას კონფერენცია. თუ კონფერენციაზე მოდავე მხარეები ვერ შეთანხმდენ, მათი დავის გადაჭრა უნდა მოხდეს არბიტრაჟის საშუალებით, ე. ი. უნდა მიენდოს „მესამე პირს“, რომელიც არ არის დაინტერესებული სადავო საკითხებში და ამიტომ შესძლებს მათს მიუდგომელათ გარჩევას. საქართველოს მიერ არჩეული გზა ერთად-ერთი გზაა ერთა შორის მშვიდობიანობის დამყარებისა. კონფერენცია და არბიტრაჟი საერთაშორისო საკითხების გასარჩევათ—ეს ის გზაა, რომელიც განათლებულმა კაცობრიობამ საუკუნეზე მეტია შეიმუშავა (ჯერ კიდევ ფილოსოფოსმა ემანუილ კანტმა წამოაყენა მისი საჭიროება) მაგრამ მასზე სიარული ჯერ კიდევ არ დაჩვეულა; მშვიდობიან საშუალებებით გადაწყვეტა დავისა ყველას სასურველათ და აუცილებლათ მიაჩნია, მაგრამ ამის განხორციელება ჯერ კიდევ მომავლის იდეალია. მხოლოდ დღეს, როდესაც ბოლო ეღება იმ საშინელ სისხლის ღვრას, რომელიც 4 წელიწადს გრძელდებოდა, მხოლოდ დღეს არის დაყენებული ასი წლის წინათ დაბადებული იდეალი პრაქტიკული განხორციელების ნიადაგზე, მხოლოდ დღეს იკიდებს ფეხს რწმენა, რომ იდეალი სინამდვილეთ გადიქცევა.

და, აი, ამ დროს საქართველოს მთავრობა თავის თავზე იღებს ინიციატივას, რომ განხორციელებულ იქნას კონფერენციის და არბიტრაჟის იდეია ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ვის უნდა ჰქონდეს რაიმე ამის საწინააღმდეგო? სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის კაჩაზნუნის დეპეშიდან ჩვენ ვიცით, რომ ბორჩალოს მაზრის გარშემო ატეხილ დავის კონფერენციის საშუალებით გადაწყვეტა სომხეთის რესპუბლიკის მთავრობაშიც დაბადებულა, ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ერთსულოვანი მოთხოვნილება ყველა პარტიებისა, ყველა ორგანოებისა იყო—მშვიდობიანი გზით, სისხლ დაუღვრელად გადაწყვეტა მეზობელ რესპუბლიკების დავისა. მხოლოდ კაცი ჭამია შოვინისტები შეადგენდენ გამონაკლისს ამ ერთსულოვნობაში, მხოლოდ ვეშაპელ გაბაშვილების სურვილი იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკამ სამხედრო ძალით გადასწყვიტოს დავა და სომხების ჯარი და „კოლონისტები“ „გადარეკოს ვენის ტბამდე“.

სომხურ პარტიათა შორის „დაშნაკცუტიუნის“ პარტიამ დაიჭირა ვეშაპელ-გაბაშვილების შეურიგებელი პოზიცია. ის კამპანია, რომელსაც ეწევიან კონფერენციის და არბიტრაჟის წინააღმდეგ „დაშნაკელთა“ ორგანოები—„ორიზონი“ და „აშხატავორი“, არსებითად არაფრით განსხვავდება ვეშაპელ-გაბაშვილების კამპანიისაგან. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ქართველი შოვინისტები პირდაპირ აცხადებენ დავის იარაღით გადაწყვეტის საჭიროებას, სომეხ შოვინისტებს კი სიტყვით სულ „მშვიდობიანობა“ აკერიათ პირზე, საქმით მათი პოზიცია ბორჩალოს გამო ატეხილ დავაში, ისევ იარაღისკენ მოწოდებაა.

გავარჩიოთ ის მოსაზრებანი, რომლებიც მოჰყავთ „დაშნაკელთა“ ორგანოებს. „აშხატავორი“ სწერს, რომ დაშნაკელებს „პრინციპიალურათ არაფერი არა აქვთ კონფერენციის საწინააღმდეგო“. მაგრამ პრინციპი რის პრინციპია, თუ ის „დაშნაკელებმა“ ფეხქვეშ არ გათელეს. რამდენიმე დღის წინათ იმავ „აშხატავორმა“ სწორედ რომ პრინციპიალურად მიუღებელი გახადა კონფერენციის და არბიტრაჟის იდეა. აი მისი მოსაზრებანი:

„საქართველოს მთავრობა წინადადებას იძლევა სადავო რაიონების საკითხი არბიტრაჟის გზით გადაჭრდეს, ე. ი. მას უნდა, რომ მესამე ძალა მოვიდეს და გადასჭრას სადავო საკითხები. სადღა გაჰქრა პრინციპები ეროვნულ თვითგამორკვევისა, რეფერენდუმისა, სახალხო სუვერენიტეტისა, სადღა არის ავტორიტეტი დამფუძნებელ კრებისა, თუ კი დავა გადაწყდება უეჭველად გარეშე ძალით, ყველა მცხოვრებთა ნების წინააღმდეგ“?

ჩვენთვის მიუღებელია ყველანაირი არბიტრაჟები რომლებიც კი მცხოვრებთა ნებას არ ეთანხმება. ეს ხომ ხალხის მასხარათ აგდება იქნებოდა, თუ მას ისე ვუცქერით, როგორც ცხვრის ფარას. ეს დამახინჯებული და ვიწრო ბურჟუაზიული აზროვნების ნიშანი იქნებოდა. ეს არ ჩაითვლებოდა რევოლუციურ დემოკრატიის მოთხოვნილებათ.

როგორც მკითხველი ხედავს, „აშხატავორი“ სწორეთ, რომ პრინციპიალური მოწინააღმდეგე ყოფილა არბიტრაჟისა. არბიტრაჟი, ეს, მისი აზრით, „ბურჟუაზიულ აზროვნების“ ნაყოფია; არბიტრაჟი მას მიაჩნია „მესამე ძალის“ ჩარევათ; იგი მისთვის „მიუღებელია“, მას იგი უპირდაპირებს თვითგამორკვევის, რეფერენდუმის და დამფუძნებელ კრების პრინციპს. ამ პრინციპების შესახებ ჩვენ არსებითად შემდეგ გვექნება ლაპარაკი. აქ კი აღვნიშნავთ, რომ „დაშნაკელები“ პრინციპიალური წინააღმდეგეები არიან არა მარტო არბიტრაჟის, არამედ კონფერენციის მოწვევისაც.

მისი აზრით, კონფერენცია იქნება „უმიზნო დაუნაყოფო პოლიტიკური თამაშობა“, რადგან სულ ერთია სომხეთის რესპუბლიკა კონფერენციაზე ვერ შეუთანხმდება ვერც საქართველოს რესპუბლიკას, ვერც ადერბეიჯანს. „სომხეთის მთავრობის მოწვევამდის საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობებმა უნდა გამოიჩინონ ელემენტარული პოლიტიკური კეთილ განწყობილება, ურომლისოდაც არავითარ შემთხვევაში, არავითარ კონფერენციის საშუალებით არ შეიძლება შეთანხმება და ერთმანეთის გაგება“. კონფერენციას აზრი არ ექნება, თუ, ერთის მხრით, ადერბეიჯანი „არ მისცემს სომხეთს გულწრფელ „გარანტიას „სოლიდარობის და მეგობრობისას“, თუ იგი „უარს არ იტყვის დამღუპველ ორიენტაციაზე ოსმალეთისაკენ“ და მეორე მხრით, თუ საქართველოს რესპუბლიკა არ დათანხმდა ბორჩალოს გარშემო ატეხილი დავა მცხოვრებთა რეფერენდუმის გზით გადაჭრას. კონფერენციის მოწვევის საქმეში, „დაშნაკელებს“ გაუსწორებელ დაბრკოლებათ მიაჩნიათ ისიც, რომ საქართველოს მთავრობამ წინადადების გაგზავნაში „ჩაიდინა დიდი ფორმალურ-იურიდიული შეცდომა“: მის მიერ გაგზავნილ ნოტაში „მან მოინდომა ხაზი გაესვა თავის პირველობისათვის კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში“.

ეს უკანასკნელი მოსაზრება, სამართლიანიც რომ იყოს იგი, რასაკვირველია, ხელს არ შეუშლიდა კონფერენციის მოწვევას: წინადადების ფორმის მომიზეზება მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც კონფერენციის მოწვევა არსებითად არ სურს. და მთელი მსჯელობა „დაშნაკელებისა“ გვიმტკიცებს, რომ მათ სწორეთ არსებითად არ სურთ კონფერენციის საშუალებით გადაჭრა ამიერ კავკასიის სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხებისა.

როგორც „აშხატავორი“ დან ამოწერილი აზრებიდან ჩანს, „დაშნაკცაკანები“ კონფერენციის მოწვევის აუცილებელ პირობათ იმას სთვლიან, რომ საქართველოს რესპუბლიკამაც და ადერბეიჯანმაც დაუთმოს სომხეთის რესპუბლიკას სწორეთ იმ საკითხებში, რომლებიც სადავოთ არის ცნობილი და რომლის გადასაჭრელად გახდა საჭირო კონფერენციის მოწვევა. თუ კი ჩვენ უკონფერენციოთ მოვახერხებთ ერთმანეთ შორის „სოლიდარობის და მეგობრობის“ განმტკიცებას, ამაზე დიდი საკითხი რაღა ექნება კონფერენციას? თუ კი ადერბეიჯანი წინასწარ უარს იტყვის იმ „ორიენტაციაზე“, რომელიც „დაშნაკ.“ არ მოსწონთ, თუ კი საქართ. რესპუბლიკა კონფერენციის მოწვევამდის დაუთმობს სომხეთს ლორის და ბამბაკის რაიონებს და უდიდესი საკითხების გადაჭრაზე სავსებით ისე დასთანხმდება, როგორც ამას მოითხოვს „დაშნაკცუთიუნი“, მაშინ კონფერენცია, მართლაც რომ ჰკარგავს მთავარ დანიშნულებას.

„აშხატავორის“ მსჯელობა მოკლეთ ასე გამოიხატება: საქართველოს რესპუბლიკამ და ადერბეიჯანმა, უნდა ყველა მთავარ სადავო საკითხებში დაუთმოს სომხეთს და მხოლოდ მაშინ შეიძლება კონფერენციის მოწვევაზე და არბიტრაჟზე ლაპარაკი.

არსებითად ეს იმის მაჩვენებელია, რომ „დაშნაკცუთიუნი“ პრინციპიალურათ წინააღმდეგია როგორც კონფერენციისა, ისე არბიტრაჟისა. და რადგანაც კონფერენცია და არბიტრაჟი ეს ერთად-ერთი საშუალებაა სადავო საკითხების მშვიდობიანათ, უიარაღოთ გადაწყვეტისა, გამოდის, რომ „დაშნაკელების“ ფრაზები „მშვიდობიანობის“ შესახებ, ცარიელი სიტყვებია, საქმით კი მის პოლიტიკას სამხედრო ძალის ამოძრავებისაკენ და იარაღის ჩხარუნისაკენ მივყევართ. ე. ი., მათი პოლიტიკა ისევ ის ვეშაპელ გაბაშვილების იარაღისკენ მოწოდებაა, მხოლოდ უფრო დაფარული, ორპირული და არა გულწრფელი.

## სამინისტროს. რეფორმა

### I.

#### ჩვენი კანონმდებლობა.

იმ სოციალურ საკითხთა შორის, რომელიც რუსეთის რევოლუციამ გვიანდერძა გადასაჭრელათ, უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი, ეჭვი არ არის, მიწის საკითხია. მის ამა თუ იმ სახით გადაჭრას არ შეიძლება გავლენა არ ჰქონდეს როგორც გლეხობის მდგომარეობასა და მის სრულიერ განწყობილებაზე, ისე ცხოვრების ეკონომიურ განვითარებაზე. და ასეთი დიდმნიშვნელოვანი კითხვის გადაჭრა ყველაზე ნაკლებ შეიძლება მოხდეს პრინციპების ცარიელი გამომზეურებით და ლამაზი დეკლარაციებით.

საუბედუროთ, თითქმის ერთი წლიწადი მოვანდომეთ დეკლარაციებს და მიწის საკითხის პრაქტიკული გადაჭრა კუს ნაბიჯით მიდიოდარეობდა.

პირველ ხანებში ველოდით სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების მოწვევას, რომ მას გადაეჭრა ეს დიდმნიშვნელოვანი კითხვა. შემდეგ კი იძულებული ვიყავით კერძო საკუთრების პრინციპი საულდებულოთ გამოგვეცხადებია.

ჩვენი პოლიტიკის ხაზი თეორიულათ სწორი იყო: ჩვენ გვეშინოდა თვითონ სტიქიას არ გადაეჭრა ეს კითხვა, რადგან ვიცოდით, რომ საუკეთესო მიწებს სოფლის ჩარჩ წურბელები ჩაიგდებდნენ ხელში და განაწილების დროსაც შესაძლო იყო ანარქიას ეჩინა თავი. და აღნიშნულ სწორ ხაზს უნდა ვუმადლოდეთ, რომ შედარებით სხვა კუთხეებთან ჩვენში ნაკლებათ დაირღვა წეს-რიგი, მაგრამ სტიქიამ მაინც თავისი გაიტანა: გლეხები შეუდგნენ მიწების განაწილებას და არავითარ ძალას არ შეეძლო შეეჩერებია ის ექსცესები, რომელიც ამ განაწილებას მოჰყვა.

ასე რომ, როცა 1917 წლის 16 დეკემბერს ამიერ-კავკასიის კომისარიატმა გამოსცა თავისი ცნობილი დეკრეტი, მიწები ფაქტიურათ უკვე გადასული იყო გლეხობის ხელში.

თვით დეკრეტი კი ცარიელ დეკლარაციების საზღვრებს არ გასცილებია: მან აღიარა, რომ მემამულეებს უნდა ჩამოერთვას მიწები და საადგილ მამულო ფონდში იქნას გადაცემული.

ამ ნაკლის შევსება ამიერ კავკასიის ყოფილმა სეიმმა იკისრა: მან მიიღო 7 მარტის კანონი. მაგრამ ამ კანონშიაც ბევრი რამ არის უფრო დეკლარაციული ხასიათის და კონკრეტიულ შინაარსით ის ერთობ ღარიბია. მან მხოლოდ ორი რამ დააწესა გადაჭრილათ: მან განსაზღვრა დატოვების ნორმა, ესე იგი. რამდენი უნდა დაუტოვონ მემამულეს, და მიწათ-მოქმედების სამინისტროს მიანდო ნორმაზე ზევით ჩამორთმევის ცხოვრებაში გატარება. სამინისტრომ ეს საქმე თითქმის ყველგან მოათავა. მან ფონდში მიიღო თითქმის ყველა მიწები.

ამ ჟამათ მიწის საკითხის საქმე შემდეგს მდგომარეობაშია: მემამულეებს დატოვებული აქვთ თითო ოჯახს 7 ან 15 დესეტინა, სადაც საბაღნარეებია, ორმოცი დესეტინა. ჩამორთმეულ მამულებს ფაქტიურათ გლეხები ამუშავებენ, იურიდიულათ კი საადგილ-მამულო კომიტეტები ფლობენ. ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ ჩვენი კანონით ტყეები და სახელმწიფო მნიშვნელობის მამულები განაწილებული არ იქნება.

ასეთია მოკლეთ ჩვენი აგრარული კანონი და ის მუშაობა, რომელიც სამინისტრომ შეასრულა ამ კანონის ცხოვრებაში გასატარებლათ.

როგორც ვხედავთ, მთავარი კითხვა, რომელიც ყველაზე უფრო აინტერესებს გლეხობას, გადაუჭრელია: ეს არის ჩამორთმეულ მიწების ბედი, მათი ამა თუ იმ სახით განაწილება. როგორ უნდა განაწილდეს ეს მიწები ისე რომ გლეხიც კმაყოფილი დარჩეს და ეკონომიური ცხოვრებაც არ დაზარალდეს და საზოგადოებრივი განვითარება არ შეფერხდეს—საკითხის ეს მხარე გვაინტერესებს ჩვენ ყველაზე უფრო. ჩვენმა პარლამენტმა რაც შეიძლება ჩქარა უნდა გააკეთოს ეს საქმე.

## რევოლუციის სვინდისი

(შთაბეჭდილება)

2 ნოემბერს ჩვენი მუშა-შეგირდენთა გუნდ გუნდათ მოფრენა და ყრილობა მოხდა სახალხო სახლში.

აქ ჩვენი სიამაყის ნოე ჟორდანიას ხელით საამოდ აჭრელდა თფილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს ზარი.

აქ, სახალხო სახლში, მუშათა საბჭოს წინაშე წარსდგა პროლეტარიატის ბელადი ირაკლი წერეთელი და მოხსენება გააკეთა ჩვენს წარსულსა და დღევანდელს მდგომარეობაზე. თვალეული მისი სიტყვა ბასრი, ელვასებრ მკვეთრი მახვილი იყო და მართლაც იბალთებოდნენ იმ აურაცხველ ჭრისა და ბრალდებათა მიკიოტები, რომელთაც ცისმარე დღეს აბარტყებენ და ამრავლებენ ჩვენი ცუხთალი მტრები.

— ვინ გაჰბედავს გვისაყვედუროს, ვითომც ჩვენ გამოვეყოფოდეთ რუსეთს?—ვერავინ, თუ კი მის გულში ოდნავ მაინც ჰპფუტავს პატიოსნების ნაპერწკალი. მაშინ, როდესაც რუსეთს ჰლუპავდნენ, ანადგურებდნენ, აოხრებდნენ შინაურნი და გარეულნი, მტერნი და მოყვარენი—ჩვენ უკანასკნელ შესაძლებლობამდის ვიბრძოდით მის გადასარჩენად, ყველაზე ბოლოს ისიც იძულებით, ვტოვებდით ჩვენს პოზიციებს.

არც ერთი დემოკრატია ისე არასწირავდა თავს რევოლუციონური რუსეთის მთლიანობის განსამტკიცებლად, როგორც საქართველოს დემოკრატია.

იგი ახლაც უსაზღვრო სევდით ივსება, რომ ხედავს თავისს მოძმეთ ბარქვე განრთხმულს და შეგინებულს.

თუ ესევე არ დაემართა ჩვენს რესპუბლიკას—ეს დემოკრატიის წყალობით და თავ-გამოდებული ბრძოლით.

მაშ, რაღათ არიან ჩვენს მტრობაში, რათ ლამობენ მის დამხობას და გაცამტვერებას?!...

დარბაზში კარგა ხანს გაისმოდა კითხვები, მაგრამ ვინ იყო მასუხის მიმცემი... საჯაროთ გამომსვლელი... განა ბნელეთის ბნელი შვილები გამოვიდოდნენ საჯაროდ და შეებრძოდნენ სიმართლეს ჭეშმარიტებას?

თუ ყველგან გაჰკვივიან ჩვენს სიავესა და გაუტანლობაზე—აქ დაბლუყვნენ, კრინტი შეიკრეს.

მხოლოდ „ზომიერებმა“ მოიწადინეს ცენის დაჭერა და გაკრიტიკება მოხსენებულისა, სოც. - რევოლუციონერთა თვალ-საზრისით. მაგრამ ნება უნებლიეთ წამოსცდათ რისი მუცლის გვრემაცა ჰქონდათ. მათ ხომ ვერ მოუნელებიათ ჩვენი დამოუკიდებლობა და ამიტომ სცდილობენ სხვადასხვა „პრინციპიალური“ მოსაზრებით გააბათილონ და გაუვნებელიონ ეს რწმენა დამოუკიდებლობისა... მათ დიდის სიახვით შემოგვთავაზეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია და რუსეთის ორიენტაცია.

განა მოყვარე ამას იქმს?..

ხომ ყველამ კარგად ვიცით, თუ რეაქციონურ ადერბეიჯანსა და რუსეთში კვლავ სწარმოებს რღვევის პროცესი და არ იცის კაცმა როდის შესწყდება იგი და როდის მიეცემა საშუალება ხალხს თუ არა ადგომისა, წამოჩოქებისა მაინც...

ჩვენი დემოკრატია კარგა ჰგრძნობდა, რაც ედვათ გულში მოხსენებულის „განმქიქებლებს“ და ამიტომ ვერ იკავებდნენ იმ სამართლიან პროტესტს, რომელიც იბადებოდა მათ კეთილშობილს გულში... უფრო ის აღელვებდათ, რომ არამც თუ უწუნებდნენ დემოკრატიულ წესებს, არამედ მისს აბუჩად აგდებასაც კი სწამებდნენ.

როგორ მოითმენდნენ ასეთს ბრალდებას ისინი, რომელთაც თავისი სიცოცხლე და ახალგაზრდობა მის მოპოვებას ანაცვალეს? როგორ მისცემდნენ ნებას შუღლი ეთესათ ხალხის გულში, როდესაც იგინი თვით ჩირაღდნებათ არიან ანთებულნი და ათბობენ სიყვარულის უშრეტელი გრძნობებით?.. ამიტომაც იყო, რომ როდესაც „ოპონენტები“ საზღვარს გადავიდოდნენ, არწივივით წამოიჭრებოდა ხოლმე ადგილიდან ამხ. ვლასა მგელაძე და მარჯვეთ სტყორცნიდა შესაფერის სიტყვა პასუხს.

იქნებ ბევრმა არც კი შეიმჩნია ამ გარემოებას ყურადღება, მაგრამ მე დიდმნიშვნელოვანად მეჩვენა.

ვლასა მგელაძე დუღაბით ამოშენებული სვეტია რევოლუციისა, მის მოსაპოვებლათ იგი ჯოჯოხეთურ ძალების წინაშეც არ შემკრთალა და განა ახლა გაიმეტებს ვინმეს ეს სმეს საავუგო სიტყვას მის საყვარელ საქართველოს რესპუბლიკაზე?

მგელაძეები ერთხელ რღვევის ქარტეხილებით გადადიოდნენ ბიუროკრატიულ რუსეთის და ბარბაროსულ სპარსეთის სიღრმეებში და ცეცხლს უკიდებდნენ ყველა იმას, რაც ემსახურებოდა ადამიანის დამონებას და დაბეჩავებას. მოსაპობი მათ უკვე მოსპეს, ახლა აღმშენებლობითი მუშაობაა საჭირო... ახლა ასაგებია სიყვარულის, სიხარულის, სილა-

მაზის კოშკები და ვინაა ისეთი, რომელიც ნაღმებს უწყობს ამათ საძირკვლებს, ვინაა ისეთი, რომელსაც შემაზრზენელი ყრანტალით დისონანსი შეაქვს სამარადისო გაზაფხულის საგალობლებში?!

ნურავინ გაჰბედავს ამ დიად საქმეში ხელის შეშლას, თორემ დაუნდობელს რისხვას მოიმკის—ამბობდნენ დიდ და პატარა მგელაძეების თვალები, რომელნიც გამოიყურებოდნენ კულისებიდან, პარტერიდან, ქანდარიდან და ყველა კუთხიდან... ამ თვალებით ამხნევებდენ თვის სასიქადულო შვილადს ირ. წერეთელს, რომელიც მოიწოდებდა მოწინააღმდეგეთ: ან დარწმუნებული ყვნენ ქართველი დემოკრატიის სიმართლეში, ან არა და ეწარმოებინათ არა ლაჩრული, ფარული ბრძოლა, როგორსაც აწარმოებენ პრესა და სხვა ორგანიზაციები, არამედ კეთილშობილური, პირდაპირი, ვაჟკაცური.

ირაკლი მოიწოდებდა უკმაყოფილოებს ეთქვათ აქ, ამ საბჭოში თავისი სათქმელი, მაგრამ სდუმდნენ... სდუმდნენ... სდუმდნენ...

ირაკლი წერეთელის სიყვარულით სავსე ღრმა თვალებს რომ დაინახავს ბოროტი უზრდელესი შვილიარ ეშმაკიც კი და ზნევა და ვით ამოიღებდნენ ხმას ისინა, რომელნიც პატარანი, ძალიან პატარა კაცუნიები არიან, თუმცა მრავალნი, აჰ, რა მრავალნი...

ირაკლი წერეთელმა 2 გიორგობის თვეს ისეთი გამარჯვება მოიპოვა, რომლის მსგავსს დიდი, ხანგრძლივი ქადაგებითაც კი ვერ შესძლებენ ხოლმე.

ირ. წერეთელი!.

რა იშვიათი პიროვნებაა ისტორიაში!..

რუსეთის რევოლუციას მრავალი შვილადი ჰყავდა, მაგრამ ირაკლის ოდენობა მაინც ვერც ერთს ვერ შეუძლია!

იგი ერთი მიჰხვდა პროლეტარიატის ტრაგედიას და თუ რუსეთში მათ ველარ უშველა—აქ, საქართველოში მაინც დააყენა სწორ გზაზე და გადაარჩინა დაღუპვას.

ირაკლის ამ იშვიათი დიდ-მხნეობოვნობით აიხსნება, რომ იგი მაინც საყვარელი და პატივსაცემი დარჩა, როდესაც დაემხო რუსეთის რევოლუცია და მის ნანგრევებში მოჰყვა საყვარელი მრავალ-შვილადთაღმი..

სიცოცხლეში, ისიც რევოლუციის დროს, იშვიათს მოუპოვებია ისეთი სახელი, როგორიც მოიპოვა ამხ. ირაკლიმ.

იგი ვრთავარი რომანტიული შარავანდედით შემოსა და რაც დრო გაივლის უფრო გაბრწყინდება.

ეს ასე მოხდა იმიტომ კი არა, ვითომც მართლდებოდეს იდეალისტების მოძღვრება ზე კაცების გმირობაზე, არამედ იმიტომ, რომ თვით ჩვენი დემოკრატიაა დიადი, მგელაძე-ჯუღელ-დგებუაძეებისაგან შემდგარი და ირაკლიც, როგორც სიმბოლო ამ დემოკრატიისა, სვინდისი მათი საყვარელი რევოლუციისა—მშვენდება იშვიათის სახელდიდებით.

ირაკლი გულ მოდგინეთ ინახავს, ღვივებს და აჩ ღებს ამ რევოლუციის ცეცხლს, ვითა მითიური ქურუმი ვესტის ნაკვერცხლებს, და სწამს, რომ იგი მიიტანს მას უქრობლად საერთაშორისო პროლეტარიატის საკურთხეველზე, რომელიც დღეს ჩანავლებულია, მაგრამ მალე აგუზგუზდება რევოლუციონური ალის ნაკადულით ხანგრძლივი ომიანობისაგან დამზრალ კაცობრიობის გულის გასათბობათ და სანატრელი მომავლის ბრძოლისთვის გამო აბრძმედათ.

**დ. თურდოსპირელი.**

## მუშათა დეპუტატების საბჭოში

**2 ნოემბრის სხდომა.**

თავმჯ. ომარეობს ნ. ჟორდანია.

სახალხო სახლის დარბაზი და ქანდარა ხალხით გაჭედილია. ბევრი უადგილობის გამო სახლში წავიდა. ნ. ჟორდანიას გამოსვლას სცენაზე მთელი დარბაზი ცხარე ტაშისცემით ხვდება.

თავმჯდომარე ამხანაგებო! ჩვენი უკანასკნელი სხდომის შემდეგ ბევრი მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. ყველა ესენი მოითხოვენ ჩვენის მხრით აწონ დაწონვას, მსჯელობას. ბევრი ჩვენი მტრები ფიქრობდნენ, რომ მუშათა საბჭო მოკვდა. არა, ის არ მომკვდარა. ის სცოცხლობს და იცოცხლებს მანამ, სანამ არ დაასრულებს თავის მიერ დაწყებულ საქმეს (ტაში). თქვენ იცით, რომ ჩვენს გარშემო ყოველგან დიდი ცვლილებები ხდება. თქვენ იცით, რომ ჩვენ განვახორციელეთ დიდის ხნის მისწრაფება და დავანგრიეთ რუსეთის ძველი მთავრობა და ახალი ცხოვრება დავიწყეთ. თქვენ ისიც იცით, რომ არსად არ ფრიალებს ის დროშა, რომელსაც ჩვენ ვემსახურებოდით, ისე თავისუფლად, როგორც აქ, ჩვენში. საბჭოებიც მხოლოდ აქ დარჩენ იმ სახით და მიზნით, რომლითაც ჩვენ მას ვაწყობდით. და მათ უნდა იარსებონ, უნდა იცოცხლონ რომ კანტროლი გაუწიონ თავის მთავრობას, რომ მან არ გადაუხვიოს ჭეშმარიტ გზას (ხანგრძლივი ტაში).

საერთაშორისო მდგომარეობაზე და საქართველოს რესპუბლიკაზე მოხსენებას აკეთებს ირ. წერეთელი. მოგვყავს მოხსენების შინაარსი.

ი. წერეთელი. ამხანაგებო! ჩვენ ყველამ ვიცით, რომ უკანასკნელ დღეებში საერთაშორისო მდგომარეობაში მოხდა ბევრი ისეთი ცვლილებები, რომელთაც ადგილი არ ჰქონია ამ ოთხი წლის ომის განმავლობაში. ომის საქმე შეტრიალდა არა მარტო ერთი მხარისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის. ერთი კოალიციის ძალები დასუსტებული, დამარცხებული აღმოჩნდა, და ბრძოლის უნარი დაკარგა, მეორე კოალიცია კი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ამ ჟამათ გერმანიის კოალიციიდან უკვე გამოვიდენ ავსტრო-უნგრეთი, ბოლგარია და ოსმალეთი და სეპარატიულ მოლაპარაკებას აწარმოებენ გამარჯვებულ კოალიციასთან, რომელიც უკარნახებს მათ ზავის პირობებს. ერთად ერთი გერმანია იბრძვის. გერმანიაში საერთაშორისო მდგომარეობის გავლენით თავი იჩინა მესამე ძალამ, ძალამ დემოკრატიისამ, და უკანასკნელის სასარგებლოდ დიდი გადატრიალება მოხდა. ის, რაც ერთი თვის წინათ ფანტასტიურად და ზღაპრულად მიაჩნდათ, დღეს უკვე მომხდარი ფაქტია—იმპერიალიზმი დამარცხდა გერმანიაში და დემოკრატიზმმა გაიმარჯვა. და თუ დღემდე იმპერიალიზმი წარმოადგენდა საშიშროებას, თუ ის აწარმოებდა დაპყრობითი მტაცებლურ პოლიტიკას, დღეს დემოკრატია ბატონობს და თავის სამოქმედო პროგრამად აღიარებულია თავდაცვა. ეს არის მთავარი ფაქტი, რომელსაც ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ. ჯერჯერობით არ ვიცით რით გათავდება საქმე. არის მხოლოდ ორი შესაძლებლობა: ერთი—გერმანიის ზავის პირობები და მეორე—იქ მომხდარმა ამბებმა იპოვონ გამოძახილი და შესაფერი განწყობილება საფრანგეთ-ინგლისში და საქმე შერიგება-შეთანხმებით გათავდეს და გერმანია დარჩეს ერთ მთლიან სახელმწიფოდ. მაგრამ შეიძლება მოხდეს ასეც: გერმანიის ზავის ჩამოგდების შესახებ ცდა მოწინააღმდეგე კოალიციის მიერ უარყოფილ იქნას და ომი გაგრძელდეს. მაშინ შესაძლებელია კიდევ დიდხანს არ შესწყდეს სისხლის ღვრა და ცივილიზაციის განადგურება და ამას მოჰყვეს გერმანიის საბოლოოდ დამარცხება—განადგურება. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ დემოკრატიამ მოძმე დემოკრატიის განადგურებაში არ დაინახა დემოკრატიის საერთო საქმის, მიზნის განადგურება და ცივილიზაციის მოსპობა.

მე ვფიქრობ, რომ გერმანიაში მომხდარი ამბები უმნიშვნელოდ არ ჩაივლის. უკვე არის ნიშნები, რომ გამარჯვებულ ქვეყნებშიც დემოკრატია ხმას იმაღლებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ და დემოკრატიულ ზავის ჩამოგდებისაკენ მიისწრაფვის. ჩვენთვის, საქართველოსათვის კი მით უფრო უკეთესი იქნება, რაც ადრე ჩამოვარდება ზავი. ჩვენ ყოველთვის ზავის მომხრე ვყავით და არასოდეს არ ვიზიარებდით იმ აზრს, რომ რაც უფრო განადგურდება რომელიმე ქვეყანა, მით უკეთესია სოციალიზმისათვის. თუ კიდევ განადგურებული იქნება რომელიმე ქვეყანა და შემდეგ მოხდება პროლეტარიატის გაღვიძება და იმპერიალისტური მთავრობის ჩამოგდება, დარწმუნებული იყავით, რომ მათ (რომელნიც ჩამოაგდებენ იმპერიალისტურ მთავრობებს) მემკვიდრეობით დარჩება ევროპის კულტურის და ცივილიზაციის განადგურება, და ჩვენ ყოველ ნაბიჯს, ზავის ჩამოგდებისაკენ მიმართულს მხურვალეთ მივესალმებით. ასეთია ჩვენი დამოკიდებულება საერთაშორისო მოძრაობასთან. ეხლა უნდა გამოვარკვიოთ, თუ როგორ ვუყურებთ ჩვენ შექმნილ მდგომარეობას და კერძოთ გერმანიას. თქვენ ყველას გახსოვთ, თუ როგორ პირობებში შემოვიდა აქ გერმანია. ეს ის დრო იყო, როცა გერმანიის მხარეზე იყო სამხედრო ძლიერება და გამარჯვება. ჩვენი დამოკიდებულება გერმანიასთან თავიდანვე გამორკვეული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სასტიკ ოპოზიციას ვაწარმოებდით იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჩვენი დემოკრატია ობიექტიურმა პირობებმა დააყენა ორი იმპერიალიზმის—ერთის არჩევის წინ. რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობაში ჩვენმა დემოკრატიამ ოსმალეთის საშინელ იმპერიალიზმს არჩია გერმანიის იმპერიალიზმი. იმ დროს, როცა ჩვენი მოწოდება დახმარების შესახებ ამაოდ დარჩა, იმ შავ ბნელ დღეებში, როცა ოსმალეთის მახვილი ჩვენი ხალხის მკერდზე იყო მიბჯენილი და განადგურებით ემუქრებოდა, ჩვენ მივმართეთ გერმანიას დახმარებისათვის, რომ შეეჩერებია ოსმალთა სვლა. თქვენ გახსოვთ ალბათ ისიც, რომ ჩვენ ობიექტიურმა პირობებმა გვიკარნახეს გერმანიის მოწვევა და რომ ის მოდის არა კაცთმოყვარეობის გრძნობით, არამედ—ეკონომიური მიზნით. მიუხედავათ იმისა, რომ იმ შავ ბნელ დღეებში ყველაზე უფრო საჭირო იყო ჩვენთვის გერმანიის დახმარება, ჩვენ ხელი არ აგვიღია პრესაში და კრებებზე გერმანიის იმპერიალიზმის სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გატარებაზე. დღეს, როდესაც გერმანიაში იმპერიალიზმი დაემხო და დემოკრატიზმმა გაიმარჯვა და შექმნილ პირობებისა გამო შეიძლება სხვების დაცვა მან ვერ შესძლოს, ჩვენ მაინც უნდა ვსთქვათ, რომ რანაირიც არ უნდა იყოს გერმანიის დანაშაული სერბიაში, ბელგიაში, და სხვაგან, ჩვენში ობიექტიური პირობების მიხედვით გერმანიას ლაქა არ მოსცხებია ძალადობის ჩადენით და დიდი სიკეთე მოგვიტანა, დიდი კულტურული საქმე გააკეთა. ჩვენ ასეთი არაფერი არ გვითქვამს, როცა გერმანია გამარჯვებული იყო და თავის პირობებს სხვებს უკარნახებდა, მაგრამ დღეს კი როცა გერმანიის ხალხმა იმპერიალიზმს სასჯელი გამოუტანა, ჩვენ ვაცხადებთ მსოფლიოს და ინტერნაციონალის წინაშე, რომ გერმანიამ ჩვენში პირობა პირნათლად შეასრულა—ოსმალეთისაგან დაგვიცვა, ხოლო ჩვენს შინაურ საქმეში არ ჩარეულა. ჩვენ მივმართეთ საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს წერილით, აუწერეთ ჩვენი მდგომარეობა და განუცხადეთ რომ გერმანიამ ჩვენში დიდი კულტურული საქმე გააკეთა. სანამ გერმანიაში იმპერიალიზმი ბატონობდა, ჩვენ მასთან ფრთხილად ვიყავით, მაგრამ დღეს, კი, როცა გერმანიის მთავრობამ მიიღო თავდაცვის პლატფორმა, ჩვენ და მათ შორის ღრმა იდეიური კავშირია და ჩვენ უსურვებდით გერმანიის პროლეტარიატს, რომ ის უფრო ბედნიერი აღმოჩნდეს, ვინემ რუსეთის რევოლუცია და ჩვენ. ჩვენი მდგომარეობა, არ შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკული იყოს. აქ ორატორი აღნიშნავს ზავის მნიშვნელობას ევროპას სახელმწიფოებისათვის და საქართველოს რესპუბლიკისათვის და ამბობს, რომ ზავის ჩამოგდება მაშინვე ვერ განკურნავს ყველა ჭრილობებს, მაგრამ რაც უფრო ადრე იქნება ჩამოგდებული, მით უფრო განამტკიცებს რევოლუციით მონაპოვრებს. ეს არ შეიძლება ითქვას მხოლოდ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებზე, სადაც ბატონობენ ისეთი ძალები, რომელთაც არ შეუძლიათ შეურიგდენ თავისუფლებას და რევოლუციით მონაპოვართ. თუ კი მიმოვავლებთ თვალს რუსეთს, დავინახავთ, რომ ჩრდილოეთ რუსეთში დარჩა ბოლშევიზმი. ბოლშევიკები ჩვენს დემოკრატიას მხარს არ დაუჭერენ, ისინი სადაც მის წვდებიან ანადგურებენ ყველაფერს. განსაკუთრებით ჩვენ ვძულვართ. საქართველოს რესპუბლიკა იმიტომ შეიქნა საძულველი, რომ ეს ერთად ერთი კუთხე დარჩა ყოფილი რუსეთიდან, რომელშიც არ სცნო მათი მთავრობა და რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა ერთგულება თებერვლის რევოლუციის ნაანდერძევ ლოზუნგებისა. მეორე ძალა, რომელსაც შეუძლია ჩვენი დანგრევა და რომელიც მძულვარებით გვიყურებს კიდევ, ეს არის რუსეთის კონტრ-რევოლუცია, რომელსაც სძულს საქართველო, როგორც თავისუფლების ქვეყანა, რომლის ბატონ პატრონი სოციალისტებია. ჩვენთვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ამ ძალებმა იგრძნეს თუ არა საერთაშორისო მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები, ჩვენ ომს გვიცხადებენ, ომს ნაციონალურს. როცა მიმოვიხედავთ ირგვლივ, ჩვენდა სამწუხაროთ, არც ჩვენში და არც რუსეთში არ ვხედავთ ისეთ ძალებს, რომელნიც წინ აღუდგებიან და მათ განზრახვებზე ხელს აალებინებენ. აქ ორატორი ეხება სომხეთის და აზერბეიჯანის დემოკრატიას და ამბობს, რომ ამ ქვეყნებში დემოკრატია არ არის ჯერ ჯერობით ძლიერი და ჩვენი საქართველოს დემოკრატია მარტო რჩება ამ ბრძოლაში. ამ საქმეში საქართველოს დემოკრატიას უნდა ახსოვდეს, რომ მხოლოდ ამ მეზობელ სახელმწიფოების დემოკრატიის გამოღვიძებაშია ხსნა.

რამოდენიმე დღის უკან ორ რესპუბლიკას შორის უთანხმოება ჩამოვარდა და კონფლიქტის გადაჭრას იარაღით აპირებდენ. ეს მომენტი საბედისწერო იყო. რომ აქ მომხდარიყო მოძმეთა ხოცვა ჟლეტა, მაშინ არავითარ ევროპის ძალას არ შეეძლო ამ რესპუბლიკებში დემოკრატიის აღდგენა ახალი ცხოვრებისათვის. ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ ამ კონფლიქტის იარაღით გადაწყვეტა თავის ბეჭედს დაასვამდა შემდეგ ცხოვრების მიმდინარეობას და მომავალში შეუძლებელი იქნებოდა ერთა შორის შუღლი—მტრობის მოსპობა. ჩვენ ისიც ვიცოდით, რომ ერთხელ გაჭყვნილი კვანძის გახსნა საბედისწერო და შეუძლებელი იქნებოდა შემდეგ; თქვენ იცით, თუ რა საუბედუროდ და საბედისწერო შექმნა სომეხ თათართა უთანხმოება და მათ შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი. ამიტომ, ჩვენ ამ რამოდენიმე დღის უკან ჩამოვარდნილ უთანხმოებაში ვხედავდით დიდს საფრთხეს, ჩვენ გვეშინოდა არა იმისა, რომ იარაღით კითხვის გადაჭრის დროს ჩვენ დავმარცხდებოდით, არა, შესაძლებელი იყო, რომ საქართველოს, როგორც უფრო ორგანიზაციულად მოწყობილს, ბრძოლაში გაემარჯვა, მაგრამ ეს არ იქნებოდა დემოკრატიის გამარჯვება, იმიტომ რომ შემდეგში გამოიწვევდა დაუსრულებელ სისხლის ღვრას. ერთი ერის დამარცხება მოასწავებს მეორე ერის დამარცხებასაც და ამიტომ ყველა ის ძალები, რომელნიც ფიქრობენ საქართველოს დანგრევას, მტერი არიან ყველა ამიერ კავკასიაში მცხოვრებ ერებისა. ასეთი ძალები არსებობენ, ორგანიზაციულათ კავშირდებიან, მათ მოახდინეს ხიდის აფეთქება, რომელიც მოწყობილია ორგანიზაციულათ ტეხნიკური ძალით. და თუ მათ შესძლეს თავიანთი მიზნების და ზრახვების განხორციელება, ეს იქნება ამიერ-კავკასიის დემოკრატიის დიდი ხნით დამარცხება. ამიტომ, დემოკრატიის უმთავრესი გულისყური მიქცეული უნდა იყოს პროვოკაციონური ძალების წინააღმდეგ და რასაკვირველია, დემოკრატიამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ დაიცვას რევოლუციით მონაპოვრები იმ შავბნელ ძალებისაგან, რომელთაც სურთ მათი მოსპობა. არავითარი ცვლილება საქმეს არ უშველის, თუ მთელი დემოკრატია ფეხზე არ დადგა თავისუფლების და ჩვენი სახელმწიფოებრიობის ხელშეუხებლობის დასაცავად. ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია ნაბიჯები და ახლო მომავალში სამივე რესპუბლიკის კონფერენცია იქნება მოწვეული საერთო საკითხების მოსაგვარებლად. როგორც ზემოდ ვსთქვი „არავითარი გარეშე ძალა ევროპიდან ჩვენთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. შესაძლებელია შავ ზღვაზე მალე გამოჩნდეს ინგლისის ფლოტი, მაგრამ ის ჩვენთვის მუქარას არ წარმოადგენს, ვინაიდან აქ იმპერიალისტურმა ძალამ დაინახა, რომ საქართველოს სახელმწიფოს შეუძლია არსებობა მხოლოდ დემოკრატიულ საფუძვლებზე. ჩვენი სახელმწიფო იარსებებს, როგორც დემოკრატიული, ან და სულ ვერ იარსებებს. ახლა მით უმეტეს შეიძლება ითქვას ეს, რომ დემოკრატიული გერმანიის მხრით ჩვენი შინაური საქმეებში ჩარევით საფრთხე არ მოგველის. არ მოგველის საფრთხე არც ინგლის-საფრანგეთის კოალიციისაგან. თუ დაინგრევა ჩვენი არსებობა, ეს მხოლოდ ურთიერთის გაუგებრობით. აქეთკენ უნდა იყოს მთელი ჩვენი ძალები მიმართული. ახლა ჩვენს წინაშე ისევ აყენებენ ორიენტაციის საკითხს. როგორი უნდა იყოს ჩვენი ორიენტაცია? დემოკრატიას მხოლოდ ერთი ორიენტაცია აქვს—ეს არის ორიენტაცია საერთაშორისო დემოკრატიის. ეს ორიენტაცია არ იცვლება, არც ჩვენ გამოგვიცვლია ეს ორიენტაცია. ჩვენ მხოლოდ დემოკრატიის ფიზიკური არსებობის უზრუნველსაყოფათ ერთი იმპერიალიზმი მეორე იმპერიალიზმის წინააღმდეგ გამოვიყენეთ. შორს არ არის ის დრო, როცა უმაგალითო სისხლის ღვრას ბოლო მოეღება, საერთაშორისო დემოკრატია იმპერიალიზმს განაჩენს გამოუტანს და დემოკრატიული სახელმწიფოები განმტკიცდება.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია სოციალდემოკრატებისა: 1) „მოახლოვებული ბოლო საერთაშორისო ომისა მოითხოვს დემოკრატიისა და მით უმეტეს მუშათა კლასისაგან, მთელი ძალ-ღონის მოკრეფას, რათა მიღწეულ იქნას მისი ინტერესებისათვის ხელსაყრელი საერთო ზავი ერთა შეთანხმებისა, თანასწორობისა და სრულს იარაღის აყრაზე დამყარებული და აგრეთვე განმტკიცებულ იქნას სრული სწორუფლებოვანობა ყველა სახელმწიფოსი, მათ შორის აღძრულ სადაო კითხვათა გადაჭრის დროს. 2) შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის გამო, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელმაც დღემდე შესძლო შენარჩუნება რუსეთის დიდი რევოლუციის მონაპოვართა, მოელის საბედისწერო საფრთხე იმ ბნელ ძალთაგან, რომელნიც მტრულათ უყურებდნენ თავისუფლებას, რის გამო საქართველოს დემოკრატიას ჰმართებს უდიდესი სიფრთხილე, შორს მხედველობა და ძალთა მოკრეფა თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად. 3) უდიდეს საშიშროებას ქართველი დემოკრატიისათვის, როგორც ამიერ-კავკასიის სხვა ერთათვისაც, წარმოადგენს შოვინისტურ პარტიათა მიერ მეზობელ ერთა შორის მტრობისა და უნდობლობის ხელოვნურად გაღვივება და ამიტომ მუშათა დეპუტატების საბჭო სიამოვნებით ეგებება საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, რომლითაც ნიადაგი ეცლება მტრობას, საფუძველი ეყრება ერთა კეთილშობილურ თანამშრომლობას, საერთო გამოსვლას და მათ შორის აღძრულ უთანხმოებათა მშვიდობიანის გზით გადაწყვეტას; 4) სარგებლობენ რა, საქართველოს ცაზე დროებით ჩამოწოლილ შავი ღრუბლებით, მისი მტრები ლამობენ მდგომარეობის გართულებას ანარქიული გამოსვლებით, პროვოკაციებით და შეთქმულობათა მოწყობით. დემოკრატიის ვალია სამარცხვინო ბოძზე გააკრას ამგვარ დანაშაულობათა ჩამდენნი და მხარში ამოუდგეს დემოკრატიულ მთავრობას მათთან ბრძოლის დროს; 5) მთელ თავის იმედებს ერთა შორის სამართლიანობის განმტკიცებისა თფილისის მუშათა საბჭო ამყარებს მხოლოდ ინტერნაციონალის მოქმედებაზე, რომლსაც განაგებს სოციალისტური ინტერპარტიული ბიურო დასავლეთ ევროპაში და აგრეთვე დემოკრატიის, უმთავრესად სოციალისტურის, ერთობაზე, აქ, ამიერ-კავკასიაში". **ა. ხ.**

(დასასრული იქნება)

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

**3 ნოემბერი.**

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი.** სამხედრო ცნობა. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ლისის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია. დეინზეს სამხრეთით შელდისკენ დავიხიეთ. უკან დახევა ღამით მოხდა, რის გამო მტერმა ხელი ვერ შეგვიშალა. ჩვენგან დატოვებულ ხაზებზე ცეცხლის შემდეგ, მოწინააღმდეგე დაედევნა ჩვენს ჯარს და საღამოზე მას შეტაკება მოუხდა ჩვენს ზურგის ჯართან. დეინზეს აღმოსავლეთით და შელდის დასავლეთით, ვალანსიენის სამხრეთით ინგლისელებს იერიში მოაქვთ. ოლნუას ახლოს მტერმა შესძლო ჩვენ ხაზებში შემოჭრა და დაიჭირა ვალანსიენის და სოლტენის სამხრეთი ნაწილები და ბრიუზის დაუახლოვდა. ბადენის პოლკმა ადგილობრივ მებრძოლ ჯარებთან ერთად ჩვენი ბატარეების და ტანკების დახმარებით კონტრ-იერიში მიიტანა მტერზე და შესძლო სალტანის სამხრეთ-დასავლეთით და სოფელ ბრეზოსთან მდებარე მაღლობების აღება. მტრის ცდა, რომ დასავლეთის მხრიდან შელდაზე და სამხრეთით მოტანილ იერიშებით ვალანსიენი აეღო, უნაყოფო გამოდგა. ღამით ქალაქი დავსტოვეთ, რაშიაც მტერმა ხელი ვერ შეგვიშალა.

გერმანიის კრონპრინცის და ჰალვიცის არმიები. ძლიერი საარტილერიო ბრძოლის შემდეგ ამერიკელებმა და ფრანგებმა იერიშები მოიტანეს. ენის ფრონტის გასარღვევათ არგონებსა და მეუზას შუა ენის დასავლეთით მაღლობებზე და ლე-სელვისა და ნერუას შუა მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ჩვენმა ჯარმა ფრანგები დაამარცხა. სელდვეს აღმოსავლეთით ბავარიის პოლკის ძლიერი ცეცხლის გამო მტერმა ვერსად ვერ შესძლო ჩვენ პოზიციებს მოახლოვებოდა. პატარა კანტენის დასავლეთით ბრანდენბურგის პოლკებმა თავის პოზიციების წინ მტერი უკუ აგდეს. მონინთან სათადარიგო ქვეითა ჯარის № 93 პოლკმა ახლო მოსული მტერი უკუ აგდო. რეკვირანის აღმოსავლეთით პომერანიის, პოზნანიის და სილეზიის პოლკებმა თავის ხაზების წინ მტრის იერიშები მოიგერიეს.

შატო პორსიენის ჩრდილო დასავლეთით მაღლობებზე ქვეითი სათადარიგო № 17 და № 50 დივიზიების პოლკებმა საღამოთიც შეინარჩუნეს თავისი პოზიციები, მიუხედავად მტრის მკაცრი იერიშებისა. ამ ბრძოლის ბედის გადაწყვეტაზე დიდი გავლენა იქონია მე-89 საგრენადერო პოლკის ობერლეიტანტის ფონ ბილოვის ენერგიულმა მოქმედებამ. ფორქეს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მაღლობები რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში და მარჯვე კონტრ-იერიშის წყალობით ჩვენ დაგვრჩა. რეტელის ორივე მხარეზე ნანტეილსა და ამბლთან მტერი მცირე ხნით მდ. ენის ჩრდილოეთის ნაპირზე გადმოვიდა, მაგრამ კონტრიერიშით უკუ ვაგდეთ. ვუზიერის ორივე მხარეზე და აგრეთვე მდ. ენისა-გრანდ-პრეს ჩრდილოეთით მდებარე ადგილების შუა ფართე ფრონტზე ფრანგებმა დიდი ძალებით შემოგვიტიეს. რამლთან ჩვენი წინა ხაზები მდ. ენის ჩრდილოეთის ნაპირზე გადავიტანეთ. ფონილესთან მტერმა წინ წამოიწია. მტრის ცდამ მოახლოვებულიყო შენსთან უნაყოფოთ ჩაიარა. ნევილთან და ტერონთან მტერი შევაჩერეთ. ვუზიერის ორივე მხარეზე მტერმა ექვსჯერ მოიტანა იერიში, მაგრამ უკუვაგდეთ. ვანდის აღმოსავლეთით კონტრ-იერიშით მტერი უკუვაგდეთ. მდ. ენთან ფალენეში მტერი გამაგრდა. ენის და გრანდ-პრეს ჩრდილოეთით მტრის იერიშები ჩვენი ხაზების წინ შევაჩერეთ. ამნაირად, ფრანგებმა ამ ფრონტზე, მიუხედავათ დიდი ძალებისა, მხოლოდ ოდნავ წამოიწიეს წინ, ფალეზთან და ვუსისთან 10 კილომეტრიან ფრონტზე ფალეზსა და ტერონს შუა ყველა ხაზები ისევ ჩვენს ხელშია.

**ბერლინი** 2 ნოემბ. საღამოს სამხედრო ცნობა. ვალანსიენის სამხრეთით ინგლისელების განახლებულმა იერიშებმა და მაასის დასავლეთით ამერიკელების ჯარმა შესძლო ჩვენი ტერიტორიის დაჭერა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

**იტალიის ფრონტი.**

**ვენა.** 2 ნოემბ. სამხედრო ცნობა. იტალიის მთავარ ფრონტზე [illegible] ჯარის [illegible] ბისთვის ყოველი ღონისძიება მიღებულია. ჯარი ომამდე ყოფილ პოზიციებს დაიჭერს. ვენეციის ველზე, ტაგლიომენტოსთან, ჯარის გადაჯგუფება ხდება. სერბიის ყველა ოლქების დაცლა მოკლე ხანში მოხდება.

**4 ნოემბერი**

**დასავლეთის ფრონტი.**

**ბერლინი.** 3 ნოემბ. სამხედრო ცნობა. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ფლანდრიაში ლისზე მდგარი ჩვენი ჯარები უკან დავიწიეთ და შელდაზე გენტისკენ ჩვენს ფრონტს გავუსწორეთ. აქ გუშინ ბრძოლა არ ყოფილა. უდენარდის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ტურნესთან მტრის პატარა იერიშები მოვიგერიეთ. ვალანსიენსთან და მის ქვემოთ გუშინ ინგლისელები მძლავრ იერიშებს განაგრძობდენ. წინა ბრძოლაში მტერმა სალტანესკენ დაგვახევინა და ბრეზოში გამაგრდა. ვილერპოლზე მოტანილი მტრის რამდენიმე იერიში მოვიგერიეთ.

გერმანიის კრონპრინცის და გალვიცის არმიები. გიზის დასავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. მას შემდეგ, რაც ფრანგები პირველ ნოემბერს ენის ფრონტზე დამარცხდენ, გუშინ ძლიერი იერიში აღარ განუახლებიათ. მხოლოდ ბენონის აღმოსავლეთით ნევილ ე ლეისთან და ტერონსათან მცირე იერიშები მოიტანეს, რომელიც ზოგან კონტრ-იერიშებით უკუ-ვაქციეთ. ინგლისელებმა მაასის დასავლეთის მხარეზე შემოტევით მდ. ენსა და შამპინონს შუა უკან დაგვახევინეს. კატრ ვამპის და ფუზანსის ხაზზე გუშინ მოწინავე რაზმების ბრძოლა იყო. მტერმა ტაილთან და ზავენერ და ევანტდთან ჩვენი ტერიტორია დაიჭირა. დანარჩენ ადგილას მტერი უკუვაგდეთ. მოზელის დასავლეთით მოწინავე სადარაჯოების ბრძოლაა. ლეიტენანტმა ბუკერმა საჰაერო ბრძოლაში მე 35 ჯერ გაიმარჯვა.

**ბერლინი** 3 ოქტ. საღამოს სამხედრო ცნობა. ჩვენი ახალი ხაზების წინ ენსა და მაასის შუა მოწინავე სადარაჯოების ბრძოლაა. დანარჩენ ფრონტზე ღირსაღსანიშნავი არა ყოფილა რა.

**პარიზი.** 3 ოქტ. სამხედრო ცნობა. მკაცრი ბრძოლა, რომელიც საფრანგეთის მე 4 არმია ამერიკის არმიასთან ერთად აწარმოებდა, მათი სრული გამარჯვებით დასრულდა. გერმანელებმა, რომელნიც მედგრათ იცავდნენ ენის გასავლელს და მაღლობებს. (აფუგებარია) სადაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები დახვდათ თავის დასაცავად, მაგრამ მათი წინააღმდეგობა გამარჯვებულმა ფრანგებმა სძლიეს. მკაცრი ბრძოლის დროს, ფრონტის გარღვევის შემდეგ ფრანგებმა აიღეს სოფლები: ტოჟი, ბელლევილი, კატრ-შამპი, ნუარვალი, ალლე და შატოლიონ-სიურ-ბარი. საფრანგეთის ჯარი ამის შემდეგ გაემართა ჩრდილოეთისკენ და დაიპყრო ვონკის და შენის ტყეები. ფრანგების შესაკავებლად დატოვებული გერმანელთა არიერგარდები ყველგან გავაქციეთ. არგონების გაწმენდა უკვე მომხდარი ფაქტია. ტყვეების რიცხვი და ნადავლის რაოდენობა ჯერ გამორკვეული არაა.

**მოსკოვი.** ც. აღ. კომ. და მოსკოვის საბჭოს სხდომაზე დაადგინეს 5 ნოემბრისთვის მოწვეულ იქნეს საბჭოთა არაჩვეულებრივი კონგრესი.

## ომი და ზავი

(საქ. დეპ. სააგ.).

**ვენის** გაზეთი „ნეიე ფრეიე-პრესსე" იხილავს ავსტრია-უნგრეთის ვილსონისადმი მიმართულ ნოტას და ამბობს: „მთავრობას მის განზრახვათათვის დროზე უნდა ეცნობებია გერმანიისთვის, მაშინ იგი ადვილათ შეეთვისებოდა ახალ სამხედრო და პოლიტიკურ პირობებს. ამის გამო კი ჩვენ ვკარგავთ უერთგულეს მეგობარს მშვიდობიანობის და ომის დროს. ასეთი პოლიტიკა ეწინააღმდეგება ავსტრიის გერმანელთა სულიერ განწყობილებას, საღს გონებას.

საფრანგეთის საზღვაო მინისტრმა პარლამენტში განაცხადა, რომ ოსმალეთთან დროებითი ზავი პირველ ყოვლისა გულისხმობს მოკავშირეთა ესკადრის შავ ზღვაზე თავისუფლად შესვლას, დარდანელის და ბოსფორის ფორტების დაჭერას და აგრეთვე მოკავშირეთა სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნებას.

ინგლისის გაზეთ „ივნინგ-ნიუსის" თანახმად ყოველ წუთს მოელიან ბრიტანიის სამხედრო საზღვაო ძალების მიერ სტამბოლის დაჭერას.

ლიტვის ეროვნულმა ბიურომ ცნობა მიიღო, რომ ვილსონმა იცნო ლიტვის დამოუკიდებლობა და აღუთქვა აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილთა შეერთების კენიგსბერგითურთ, მისი ცალკე სამეფოდ გამოცხადება.

ვენაში სრული მყუდროებაა. მოლაპარაკება დემობილიზაციისა და ყაზარმული რეჟიმის შეცვლის შესახებ, თითქმის დამთავრებულია. იმპერატორი კარლოსი ვენაში იმყოფება.

„ფორვერტსი“ს სიტყვით სტატს-სეკრეტარმა შეიდემანმა რეიხს კანცლერს მოხსენება წარუდგინა, რომელშიაც მოითხოვს მართვა-გამგეობიდან იმპერატორის ჩამოშორებას. ეს გადაწყვეტილება მიღებულია პარტიათა წარმომადგენლებისა და რეიხსტაგის ფრაქციათა თანხმობით.

# ავსტრო-უნგრეთში

**გერმანიის პრესის ცნობა.**

როგორც გაზეთები იტყობინებიან, ავსტრიელ გერმანელების ეროვნულ ყრილობის აღმასრულებელი კომიტეტი ბერლინში გზავნის მუდმივ წარმომადგენელს გერმანიის პარლამენტსა და მთავრობასთან კონტაქტის დასაჭერად.

ბუდაპეშტიდან იტყობინებიან, რომ წუხელ ეროვნულმა საბჭომ მთავრობის ფუნქციები თავის თავზე მიიღო, მას შემდეგ, რაც მის მხარეზე გადავიდა მეციხოვნე ჯარის უმეტესი ნაწილი. ამის გამო გრაფმა ხადიკმა უკან წაიღო თავისი წინადადება მთავრობის შედგენის შესახებ. მეფის დავალებით ერც-ჰერცოგმა იოსებმა წინადადება მისცა გრაფ კაროლის ახალი კაბინეტი შეადგინოს. ეროვნულმა საბჭომ მცხოვრებლებს გამოუცხადა ეს. ბუდაპეშტი აღრთოვანებულია. საზოგადოებრივი კერძო შენობები ბაირაღებითაა მორთული. ეროვნულ საბჭომ დაადგინა რკინის გზებზე შესწყდეს სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა, მხოლოდ სასურსათო მატარებლები დადიან. ეროვნულ საბჭოს მიერ გაგზავნილმა ჯარებმა გაანთავისუფლეს ჟანდარმების მიერ ყაზარმებში მომწყვდეული სამხედრო ნაწილები. მცხოვრებთა დიდი ბრბო შეიჭრა სასამართლოს ციხეში და გაანთავისუფლა ლეინერი, რომელმაც ამას წინად პარლამენტის წინ გრაფ-ტისსას მოკვლა განიზრახა.

ჰუნგრეთის ეროვნულმა საბჭომ მოწოდებით მიმართა ხალხს.

ვენაში დღეს ჯარისკაცებს აფიცებენ. ფიცის ტექსტში ნათქვამია, რომ ჯარისკაცი ფიცს სდებს და ჰპირდება, რომ ის, როგორც ადამიანი, ჯარისკაცი და როგორც მოქალაქე ავსტრია გერმანიის თავისუფალ სახელმწიფოსი, დაემორჩილება იმ ძირითად კანონებს, რომელიც მიიღო დროებითმა ეროვ. საბჭომ და განსაკუთრებით სახელმწიფო საბჭოს და მის პრეზიდენტს, აგრეთვე უფროსებს, რომლებსაც ისინი უფლებებს ანიჭებენ, აასრულებენ მათ განკარგულებებს, ხალხის კეთილდღეობისათვის ემსახურებიან სამშობლოს და ხალხს მთელი თავისი ძალით, სინიდისით და ღრმა შეგნებით. საღამოთი მოხდა სტატს-ნოტარიუსის დოქტორ სილვესტრის და ახლად დანიშნულ სტატს-სეკრეტარის ზეიზით დაფიცება; დოქტორ დინგხოფერმა წაიკითხა ფიცის შემდეგი ფორმულა: „ფიცს სდებთ, რომ თქვენი პირადი ღირსებით და მოქალაქეობრივ სინიდისით მთელს თქვენს ფიზიკურ და გონებრივ ძალებს დაუზოგველად გასწირავთ გერმანია-ავსტრიის სამშობლოს სასარგებლოდ, რომ თქვენ უერთგულებთ სამშობლოს, ეროვნულ საბჭოს მიერ შემუშავებულ ძირითად კანონებს და აგრეთვე მათი მიხედვით სახელმწიფო საბ. მიერ გამოცემულ კანონებს და მუდამ მათი აღმსრულებელნი იქნებით. თქვენს მოვალეობებს შეასრულებთ მიუხედავათ თქვენი პარტიულ მიმართულებისა და სარგებლიანობის გარეშე, სამსახურის შესრულების დროს პატივს სცემთ მოქალაქეთა ღირსებას და თავმოყვარეობას.

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია თფილისის სოც.-დემ. პარტიის კომიტეტის სხდომა. ვინაიდან ამ სხდომაზე აუცილებლათ არჩეულ უნდა იქნეს პრეზიდიუმი, სთხოვენ ყველა წევრებს, ახალ არჩეულებსაც, აუცილებლათ დაესწრონ.**

**✦ სამხედრო წესები რკინის გზაზე.** თანახმად რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებისა, რესპუბლიკის რკინის გზა და ფოთის ნავთსადგური, მისი რაიონით, ცხადდება სამხედრო წესზე მყოფად. გენერალ-გუბერნატორათ ნაჩვენებ რაიონებისა, რკინის გზის სამხრეთ ნაწილის გამოკლებით, სადგურ ნავთლუღიდან, რომელიც თანახმად ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ, № 152 ექვემდებარება გენერალ-მაიორ წულუკიძეს, ინიშნება სამხედრო მინისტრის განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი ყარალაშვილი. მას ემორჩილება ყველა სამხედრო ნაწილები და სხვა და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც რკინის გზას და ნავთსადგურს იცავენ. იმასვე ემორჩილება ჯავშნოსანი მატარებლები რკინის გზის ნაჩვენებ რაიონის დაცვის საქმეში. ფოთის ნავთსადგურის დაცვა გენერალმა ყარალაშვილმა დაავალა ფოთის გარნიზონის უფროსს პოლკოვნიკ ჩხეიძეს. ჯავშნიან მატარებლების უფროსი გოგუაძე დაინიშნა მთელი რკინის გზის კომენდანტათ.

**✦ მატარებელი სანაინისკენ.** თფილისსა და სანაინს შუა დანიშნული მატარებელი სად შაგალამდე მიდის; შემდეგ სომხეთის მატარებელი ივლის.

**✦ რკ. გზის გენერალ გუბერნატორი.** გუშინ გზათა მინისტრს წარუდგა მთავრობისაგან ახლად დანიშნული რკ. გზების გენერალ გუბერნატორი გენ. მაიორი ყარალაშვილი.

**✦ მიწების ჩამორთმევა საქართველოში და სომხეთის მთავრობა.** რამოდენიმე დღის წინად სომხის დიპლომატიური წარმომადგენელი შეეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრს: ვრცელდება თუ არა მიწის ჩამორთმევის კანონი გარეშე სახელმწიფოთა ქვეშევრდომებზე. ეხლა დიპლომატიური წარმომადგენელი ეკითხება გარეშე საქმეთა მინისტრს—შესაძლებელია თუ არა ზევით მოყვანილ შეკითხვის გარჩევამდე შეჩერებული იქნას იმ მიწების ჩამორთმევა, რომელიც სომხის მოქალაქეთა საკუთრებას შეადგენს.

**✦ მოლაპარაკება ადერბეიჯანთან** ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროების წარმომადგენლათ ბაქოში გაემგზავრა პარლამენტის წევრი ა. ასათიანი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ადერბეიჯანისა და საქართველოს შორის სავაჭრო ხელშეკრულობის მოლაპარაკებაში.

**✦ შუამდგომლობა.** გაგრის ქალაქის თავმა შუამდგომლობა აღძრა გზათა მინისტრის წინაშე—გაყვანილ იქნას გაგრის ორი ნაწილის შუა „კონკისათვის“ რკინის გზა.

— სიღნაღის ქალაქის გამგეობამ სთხოვა გზათა სამინისტროს მისცეს მას საკმაო ნავთი და მაზუთი წყალსადენისა და საელექტრონო სადგურისათვის.

**✦ საქართველოს პარლამენტმა** მიიღო სომხეთის საბჭოსაგან შემდეგი დეპეშა: მოისმინა რა საბჭომ მინისტრთა თავმჯდომარისაგან, რომ კონფლიქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოსაზღვრე ჯარებ შორის გათავდა მშვიდობიანათ, საბჭომ მისცა თავის მთავრობას შესაფერი რჩევა. აგრეთვე დაადგინა, მიმართოს პარლამენტს და გამოსთქვას იმედი, რომ არავითარ გაუგებრობას არ შეუძლიან გასწყვიტოს ის საუკუნოებრივი ჯაჭვი, რომელიც აერთებდა ამ ორ მოძმე ერს. იმედი გვაქვს, რომ საქართველოს პარლამენტიც მიიღებს საჭირო ზომებს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის.

**✦ სახალხო უნივერსიტეტის** I-ლი რაიონის განყოფილებაში ამ კვირაში წაიკითხავენ ლექციებს შემდეგ თემაზე: ოთხშაბათს, დეკანოზიშვილი, ასტრონომიაზე და ლორთქიფანიძე—არითმეტიკა.

სამშაბათს, ტურიაშვილი ჯანრთელობაზე და რაჭველიშვილი—საზოგადოებრივი მიმდინარეობანი საქართველოში მეცხრამეტე საუკუნეში.

ოთხშაბათს, ჟორჟოლიანი, ქართველი მწერლობა მეთვრამეტე საუკუნეში და ი. ნაკაშიძე—ევროპის ხალხის ცხოვრება და მწერლობა.

ხუთშაბათს ხუციშვილი ფიზიკა და ქავთარაძე—მსოფლიო ისტორია.

პარასკევს მაისურაძე—ანატომია და ფიზიოლოგია და ირემაშვილი—საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა. ლექციები დაიწყება საღამოს 6 საათზე. დასწრება უფასოდ შეუძლიან ყველას. 1-ლი რაიონის კულტურულ-განმანათლებელი კომისია ეოუწოდებს ყველა შეგნებულთ გასწიონ აგიტაცია ლექციებზე მეტი ხალხის დასასწრებლათ. ლექციები გაზაფხულამდე გაგრძელდება.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

— ოთხშაბათს, 6 ნოემბერს, საღ. 6 საათზე ნაძალადევის თეატრის შენობაში დანიშნულია პირველ რაიონის ს. დ. მ. პ. წევრთა საერთო პარტიული კრება. ასარჩევია პარტიულ ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები. რაიონის ყველა წევრების დასწრება აუცილებელია, კოლექტივის წევრებს კი სთხოვენ მოვიდნენ 4 საათზე.

დღეს, საღამოს 3 ნახ. საათზე ქართულ უნივერსიტეტის მე-5 აუდიტორიაში დანიშნულია ამ უნივერსიტეტის მარქსისტ სტუდენტთა ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება.

**დ ი დ უ ბ ე**

31 ოქტომბერს, 1912 წ. შესდგა დიდუბის სამოქალაქო კომიტეტის კრება, გ. ჟურულის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო 17 წევრი. დღიურ წესრიგში იყო დასმული შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება დიდუბის საქალაქო სასადილოს შესახებ, 2) მუდმივი ბინა და ფინანსიური მხარე, 3) შეერთებული კრება დიდუბის სახლის კომიტეტების, 4) სასურსათო დუქნები. სასადილოს შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დ. მკერვალიშვილმა. მან თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ წარსულ თვეში, როდესაც სასადილოს განაგებდა ქალაქის გამგეობიდან გამოგზავნილი პირი ლადო კიკნაძე, მისი დაუდევრობით და მასთან ბოროტ მოქმედებით, სასადილომ იზარალა 900 მან. და თუ მიუმატებთ მოსამსახურეების ჯამაგირებს და ქირას, მაშინ 2 ათას მან. მეტი იქნება. ჩვენ რომ არ ჩავრეულიყავით და არ მიგვეღო ენერგიული ზომები, სასადილო დღეს დაკეტილი იქნებოდა, რისაც დღეს ბევრი მონატრულია. გარდა ამისა შტატი მოსამსახურეებისა, როგორიც არიან დღეს, ყოვლად შეუძლებელია მათი დატოვებისა, პროტექციით გამოგზავნილი ხალხი და მერე ასეთები, ყოვლად დაუშვებელია. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ვიღებთ რა მხედველობაში წარსულ თვის მოქმედებას და მასთან სასადილოების გამგეების გამოუცდელობას, ჩვენ საჭიროთ ვსცნობთ სასადილოს განაგებდეს სამოქალაქო კომიტეტის გამგეობის კონტროლის ქვეშ, რადგანაც ჩვენ დაინტერესებული ვართ მის არსებობაში და დიდძალი შრომა და ენერგია დავხარჯეთ მის შექმნაში.

მუდმივი ბინის შესახებ და ფინანსიური სახსარის გამოსაძებნელათ კრებამ აირჩია კომისია, რომელმაც თავისი აზრი უნდა წარმოადგინოს შეერთებულ კრებაზე დიდუბისა და ნაძალადევისა. სასურსათო დუქნების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჟურულმა. მან აღნიშნა, რომ პირველ ხანებში ხორცი იყიდებოდა საუკეთესო ხარისხისა, რამაც აიძულა კერძო მეყასბეები ანგარიში გაეწიათ და ნიხრზე გაეყიდათ ხორცი, მაგრამ ასეთი მოვლენა დიდხანს არ გაგრძელდა-და დაიწყეს უვარგისი ხორცის გზავნა, რის გამოც საზოგადოების თვალში დაეცა ყოველივე ნდობა საზოგადო დაწესებულებებისადმი. როგორც ეტყობა, ამ ფრიად საყურადღებო საქმეს ვერ უდგია დაინტერესებული პირი სათავეში. ამის გამო კრებამ დაადგინა მისცეს წინადადება სასურსათო კომიტეტს, რომ მან მიაქციოს სათანადო ყურადღება ამ არა ნორმალურ მდგომარეობას. შეერთებული სახლის კომიტეტების შესახებ კრებამ დაადგინა მიიღოს ენერგიული მონაწილეობა მის მუშაობაში. სხვათა შორის, კრებამ აღნიშნა ზოგიერთი წევრის გულცივობა და მასთან დარღვევა იმ დადგენილებების, რომელიც გამოაქვს სამოქალაქო კომიტეტს, რის გამო კრებამ დაადგინა: თუ კიდევ გაიმეორეს ასეთი მოქმედება, იმ შემთხვევაში იქნება გაკიცხული ამხანაგებისაგან.

მეთვალყურე.

# გერმანიის დელეგაციის ცნობები

**მდგომარეობა ავსტრო-უნგრეთში.**

ავსტრო უნგრეთიდან ერთი ერთმანეთის უარის მყოფელი ცნობები მოდის. გალიციაში ქ. ლემბერგში დაარსდა უკრაინის ეროვნული საბჭო, რომელსაც მიზნად აქვს აღმოსავლეთი გალიცია უკრაინას შეუერთოს. ბრძოლა სწარმოებს გალიციელებსა და პოლონელებს შუა იმის გამო, თუ ვის ხელში უნდა იყვეს გალიციის აღმოსავლეთი საზღვარი: პოლონეთისა თუ გალიციის.

ერცჰერცოგმა იოსებმა და მისმა შვილმა შეჰფიცეს ვენგრიის ეროვნულ საბჭოს. იმპერატორ კარლოსს ვენგრია ჯერ კიდევ სცნობს. საერთოდ ვენგრიასა და გერმანელების მიერ დასახლებულ ავსტრიის ნაწილში წესიერებაა.

ცნობა გრაფ ტისსას მოკვლის შესახებ გამართლდა.

**გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი.**

შეიდემანმა პარტიის სახელით გადასცა რეიხს-კანცლერს მემორანდუმი, საცა მოითხოვს, რომ გერმანიის კეთილდღეობისთვის აუცილებლად საჭიროა იმპერატორის გადადგომა.

გერმანიაში სრული წესრიგი და სიმშვიდეა.

**ინგლისური გაზეთების აზრი.**

ინგლისის პრესა იტყობინება, რომ იმპერატორ ვილჰელმის მთავარ სადგომში მისვლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გერმანიის ჯარებისთვის. ბრძოლის ხალისმა და უნარმა მათში უფრო აიწია და შეთანხმების სახელმწიფოთა ჯარების შეტევა ნაკლებ ნაყოფიერი იყოო.

**ფ ი ნ ე თ შ ი.**

პრინც კარლოს გესსენელის პასუხი, რომ ის 2 თვის შემდეგ შეუდგება მეფობას ფინეთში, გამოწვეულია იმით, რომ მას სურს მოიცადოს საზავო კონგრესამდე.

**ო ს მ ა ლ ე თ შ ი.**

გერმანიის რადიო-სადგური კონსტანტინეპოლში „ოსმანიე“ ისევ მუშაობს. მდგომარეობა იქ უცვლელია.

**ბ ა ქ ო.**

ბაქოდან გერმანიის დელეგაცია გამოვიდა, რადგანაც შესაძლებელია ქალაქს ბიჩერახოვის და ინგლისელთა საფრთხე მიადგეს.

# სამუსლიმანო საქართველო და ოსმალეთი

როგორც მოგეხსენებათ, ბათუმის ვალიმ გუბერნატორმა დაავალა რამდენიმე ბათუმის და მის ოლქის მცხოვრებლებს ხალხის სახელით კონსტანტინოპოლში წასვლა. ისინი, ე. ი. ვალის დასახელებული პირები, უნდა წასულიყვნენ კონსტანტინოპოლში როგორც ბათუმის და მისი ოლქის წარმომადგენლები და ვალის დავალებით, ხალხის სახელით, ახალი სულთანისათვის უნდა მიელოცათ ტახტზე ასვლა და მასთან ერთათ უნდა მიელოცათ ბათუმის და მისი ოლქის მცხოვრებთა სურვილის თანახმათ—სულთანის ფეხ-ქვეშ გადასვლა...

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, ეს „ხალხის სულისკვეთების გამომხატველნი“—ვალის დელეგატები—კონსტანტინოპოლიდან ბათუმში დაბრუნებულან. სულთანს ისინი დაუჯილდოვებია ნიშნებით და წლიურათ თითეულისათვის დაუნიშნია ორ-ორი ათასი მანეთი პენსიის სახით, რომელიც იქნება ჩამომავლობითი და გარდა ამისა, ვინც ამ „დელეგატებში“ ბეგი არ ყოფილა, სულთანს ბეგობა მიუცია და ასეთნი სულთანისაგან უხვათ დაჯილდოებულნი დაბრუნებულან ბათუმში.

ეს ვაჟბატონები თურმე ხალხს არწმუნებენ, რომ სულთანი, მათ, სამუსლიმანო საქართველოსათვის შეჰპირდა ავტონომია, რომელსაც მალე მივიღებთო მათი სიტყვით, სულთანის დაპირებისამებრ, სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიაში უნდა შევიდეს: ბათუმის ოლქი, არდაგანი, ახალ-ციხე და ახალ-ქალაქი.

ამ „დელეგაციის“ ერთ წევრს, სახელდობრ თემურბეგ ხიმშიაშვილს, კიდევაც ჩამოუვლია ბათუმის ოლქის ყველა უბნები და ხალხისათვის სულთანის სახელით განუცხადებია, რომ „სამუსლიმანო საქართველოს მალე სულთანი ავტონომიას მასცემს“-ო.

ამის შესახებ ჩვენ აქ ბევრს არ ვილაპარაკებთ, რადგანაც ეს ადვილი ასახსნელია თუ ამ გემრიელ სიტყვებით, რა ჰსურს სულთანს და მის ამყოლ-დამყოლ ზოგიერთ ხალხის მოღალატე ვაჟბატონებს.

ჩვენ აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ოსმალეთი ტყუილად ირჯება. ჩვენი ხალხი, ქართველი მუსლიმანები, დღეს უკვე კარგად იცნობენ ოსმალეთს და მის ამყოლ დამყოლთ—ზოგიერთი ხალხის ვაჟბატონებს, რომლებმაც ჩვენი საწყალი ხალხის უბედურებაზე ააგეს თავისი ბედნიერება.

ხალხი კარგად იცნობს იმ ვაჟბატონებს, ვალის დელეგატებსაც, რომლებიც სულთანისაგან ასე უხვათ იქმნენ დაჯილდოვებულნი.

„ზოგი ჭირი მარგებელიაო“, იტყვიან, და სწორეთ ეს ითქმის ჩვენს კუთხის შესახებ. ოსმალეთი რომ ბათუმში და ჩვენ კუთხეებში არ შემოსულიყო და ჩვენი ხალხის უმრავლესობას ოსმალეთი არ გაეცნო, სამუსლიმანო საქართველო დიდხანს არ იქნებოდა გამოსადეგი საქართველოსათვის. დღემდის- თუ ქართველ მუსლიმანთა უმრავლესობისათვის გაუგებარი და შეუსწავლელი იყო ოსმალეთი, დღეს, თითო-ოროლა ხალხის მოღალატეების გარდა, ყველასათვის ნათელია და ამიტომ ჩვენი ხალხი ოსმალეთის მიერ წამოსროლილ ანკესზე აღარ წამოეგება. ჩვენ ხალხს ოსმალეთის ავტონომია არც სჯერა და არც ესაჭიროება. ჩვენ კარგათ ვიცით ოსმალეთის გულუხვობა ავტონომიების შესახებ. დღეს ჩვენს ხალხს ოსმალეთის არაფერი სჯერა და არც მისი გულუხვობა ესაჭიროება ოსმალეთის სამუსლიმანო საქართველოში შემოსვლამ ნათელჰყო, თუ რანაირის თვალით უყურებს ის ქართველ მუსლიმანებს. ის ჩვენ გვეძახის „გურჯებს“, ე. ი. ქართველებს და ის ჩვენ, ქართველ მუსლიმანებს, ისეთივე თვალით გვიცქერის როგორც ქართველ ქრისტიანებს. ის ჩვენ, ქართველ მუსლიმანებს არასოდეს არ გვენდობა.

ოსმალეთმა ჩვენს ქართველ მუსლიმანობას აშკარა უნდობლობა გამოუცხადა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ჩვენ ქართველები ვართ და შევადგენთ საქართველოს განუყოფელ ნაწილს. რომ ეს ასეა, იქიდანაც ნათლათ სჩანს, რომ ის ჩვენი მუჭ-ტირი ქართველი მუსლიმანი ინტელიგენცია, რომელიც ოსმალეთში ბლომათ მოიპოვება, არც ერთი არ შემოუშვეს ჩვენს კუთხეში, არც ერთი არ დააბრუნეს მის საკუთარ სამშობლოში. თუ ერთი ან ორი ინტელიგენტი მოგვეპოებოდა ადგილობრივ, ისინიც დაიჭირეს და შორს უდაბნოებში გაისტუმრეს.

ჩვენ გულწრფელათ ვაღიარებთ: ჩვენა ვართ გურჯები—ქართველები, ჩვენ შევადგენთ ნაწილს საქართველოისას და ამიტომ ჩვენ გვწამს ჩვენი მომავალი, რომელიც გამოიხატება სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს ეროვნულათ და ტერიტორიალურათ შეკავშირებაში და შედუღებაში. მაშ, შორს ოსმალეთის და ზოგიერთ მოღალატეების ახალი ქსელები და გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ მომავალს—მთლიან საქართველოს!

ჰაიდარ აბაშიძე.

# ბათუმის ამბავი

გუშინ წინ ბათუმიდან ჩამოვიდა საქველმოქ. საზოგად. განყოფ. მდივანი ბ. ის. თევზაძე, მასთან ერთად ჩამოვიდნენ ცნობილი ემიგრანტი ასლან ბეგი აბაშიძე და სამი სხვა ქართველი მუსულმანი. როგორც გადმოგვცეს, აჭარლები ქართველებს მოუთმენლად მოელიან. მოღალატე ჯემილ-ბეგი ბათუმში არ ყოფილა, მისი ძმა თემურ ბეგი ცდილობს მოურიგდეს აბაშიძეებს და მით თავის თანამოძმეთა რისხვას ასცდეს, მაგრამ აჭარლები მას თურმე ახლოს არ იკარებენ. აბაშიძეებს კი თურმე დიდი ნდობა პატივისცემა დაუმსახურებიათ. აჭარლებს გადაუწყვეტიათ მიიღონ ქართველების სრული მფარველობა და ითხოვონ პატიება.

— ბათუმში დარჩენილა 600 კაცამდე რუსი ოფიცრობა, რომლებიც ცდილობენ ალექსეევის მოხალისეთა რაზმის სახელით ბათუმში გამოაცხადონ რუსის ბატონობა, ამას ხელს უწყობს თურმე ჯემალ ბეგის პარტია.

ოსმალოს ტყვეობიდან დაბრუნებულა ქალაქის თვითმართველობის წევრი ხასან ეფენდი ლორთქიფანიძე და ქიქავა.

# ბაქოს შესახებ

III

ბოლშევიკებს რომ ბოლშევიკური პოლიტიკა უნდა ეწარმოებიათ,—ეს ბუნებრივია, და ბუნებრივია მისი დამღუპველი გავლენა ხალხის პოლიტ.-ეკონომიურ ცხოვრებაზე.

მაგრამ, როდესაც ამ რღვევის დროს დანარჩენი მემარჯვენე პარტიები არამც თუ ხელს არ უშლიდენ ბოლშევიკებს, პირიქით, ხელს უწყობდენ და ზოგიერთ საკითხებში წინაც ასწრებდენ (მაგ. თფილისის წინააღმდეგ გალაშქრებაში) რით უნდა აიხსნას, თუ არ მით, რომ მათ (მემარ. პარტიებს, კადეტების მიმართებით) თავისი საკუთარი მიზანი ჰქონდათ და ამ მიზნის მისაღწევად ბოლშევიკებს ბრმა იარაღათ იყენებდენ.

ბოლშევიკების მთავრობის „სიმაგრემ“ რყევა იწყო. ბრძოლის ველზე „ბოლშევიკების ჯარები მარცხდებოდენ და უკან იხევდენ.

აუტანელ სასურსათო კრიზისის გამო ხალხი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა და მთავრობისადმი უკმაყოფილება იზრდებოდა. ჩრდილო-კავკასიიდან პურს ვერ ღებულობდენ. ბაქოს გუბერნიაში მოსავალს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ მოწევა უნდოდა და ეს კი ბაქოს „პროდკომმა“ ვერ მოახერხა. პური სიმწიფით ყანაში წვებოდა, როდესაც ბაქოს „პროდკომმა“ მეველლებისადმი მოწოდება გამოუშვა, რათა იგინი საბჭოს მთავრობას დახმარებოდენ და ცელები და ნამგლები დაემზადებიათ. ხორბლის მცირე რიცხვი—რის მოტანასაც ახერხებდენ, ჯარს უნდებოდა. მცხოვრებლებს პურის მაგიერ სულზე ნახ. გირვანქა თხილს ან ერთ მეოთხედ გირ. „სემიჩკას“ურიგებდენ.

ხედავდენ რა ამ მდგომარეობას დაშნაკ ესერები, შეშინდენ, რომ ისინიც ბოლშევიკებთან ერთად ხალხის უკმაყოფილების ზრდის გამო გარიყული არ დარჩენილიყვნენ.

აქედგან ჩაუდგენ ოპოზიციაში ბოლშევიკებს სხვადასხვა საკითხებში, მაგრამ უმთავრესი—„ბაქო რუსეთისთვის“—ყველას აერთებდა. უსაყვედურებდენ ბოლშევიკების მთავრობას ცალ მხრივობაზე, რაც მათი სიტყვით მიზეზი იყო „ფრონტის“ დასუსტების. ამ დროს დაშნაკელებს გამოეყო „მემარცხენე“ ფრთა, —დაშნ. „ინტერნაციონალისტები“. დაიბადა ინგლისელების მოწვევის ტენდენცია.

მაგრამ ივლისის მეორე ნახევრამდის ისე ცხადათ ვერ ამხელდენ.

მხოლოდ ხმები ვრცელდებოდა სპარსეთში ინგლისელების ურიცხვ ავტომობილებზე და ჯარზე... რომ ინგლისელების სპარსეთში აუარებელი ბრინჯი შეუყიდიათ და თითქოს მარტო ენზელში (ნავთ სადგ. სპარსეთში) ნახ. მილიონი ფუთი უკვე ჰქონოდათ.

ასეთი ხმები პოლ. ბიჩერახოვმა კიდევ უფრო გაადიდა, ის ხომ ფაქტიურათ ინგლ. აგენტი და მისი რაზმი ინგლისის ჯარის ფაქტ. ავანგარდი იყო. თუ ბიჩერახოვი არა, ინგლისის ჯარს დიდი ხანი მოუნდებოდა, სანამ ენზილამდის მოაწევდენ.

სპარსეთში რეშტსა და კაზვინს შუა მოქმედებდა ანტი-ინგლისური მიმდინარეობის ბელადი ქუჩუქ ხანი თავის რაზმებით.

მან დაიკავა რეშტის ახლოს ზღვისაკენ მდებარე ადგილები, შეკრა რეშტ-კაზვინის გზა და ინგლისის ჯარს წინ არ უშვებდა. პ. ბიჩერახოვმა გამოარღვია ეს გზა, მოაწია ენზილამდის და მას უკან ინგლისელების მცირე რაზმი მოჰყვა, რომელიც ენზილში დაბანაკდა. თვით ბიჩერახოვი კი თავის რაზმით ბოლშევიკების ნებართვით და მოწვევით ბაქოში მოვიდნენ და მომქმედ ჯარში ჩაერიენ.

არ არის მართალი ამხ. აიოლლო, თითქოს ბიჩერახოვს ორი ათასზე მეტი კაცი ყოლოდეს მოსვლის დროს.

მას ჰყავდა მხოლოდ ექვსას-შვიდასი კაცი. მოსვლის შემდეგ გამოუშვა ბაქოში მოწოდება „ფრონტოვიკებისადმი“, ჩაეწერენ მოხალისეები და ამით მოუყარა თავი ორი ათასამდე ჯარისკაცს.

როდესაც „ფრონტზე“ მდგომარეობა გაუარესდა, „ბოლშევიკების“ ჯარს (ბოლშევიკებისას მხოლოდ მარტო ჰქონდათ, რომ ფაქტიურათ [illegible] აწარმოებდენ [illegible] გეს და [illegible] დენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას მოჰყვა პ. ბიჩერახოვის უარი სარდლობაზე. ბოლშევიკები დაიბნენ. ამ მდგომარეობამ წაათამამა დაშნაკ-ესერ მენშევიკები და დაიწყეს ანტი-ბოლშევიკური აგიტაცია და აქტიური მუშაობა ინგლისელების მოწვევის სასარგებლოთ. რას პირდებოდენ ბაქოს პროლეტარიატს? ხსნას ინგლისელებისაგან რომ ინგლისელები მოგვცემენ ტეხნიკურ ძალას, მოიყვანენ ურიცხვ ჯავშნიან ავტომობილებს, იარაღს, ჯარს და უმთავრესს ბრინჯს, რომელიც ასი ათას ფუთობით ეწყოთ (მათი სიტყვით) და აუტანელ მდგომარეობიდან ბაქოს პროლეტარიატის დახსნა მხოლოდ ინგლისელებს შეეძლოთ. ზოგიერთი ორატორები ამაზე შორს მიდიოდენ და პირდებოდენ, რომ ინგლისელებს თოთხმეტი საათის განმავლობაში ოცდა ხუთი ათასი ჯარისკაცი შეუძლიათ ენზილში მოიყვანონო. ენზილიდან ბაქომდის თვრამეტი საათის სავალია ზღვით და თუ ასე იყო მართლა საქმე, ბაქომდის ენზილიდან მოსვლაც არ იყო ძნელი. საქმე ის იყო, რამდენათ სიმართლეს შეეფერებოდა მენშევიკ-დაშნაკ-ესერების დაპირებები. ჯერ ინგლისელებს მესოპოტამიაშიც არ ყავდათ საკმაო ჯარი. როგორც ამბობდენ, მესოპოტამიაში სამასი ათასი ჯ. კაცი ჰყავდათ ინგლისელებს. დავეთანხმოთ ამ ხმებს.

რამდენი ხანი დასჭირდებოდათ ინგლისელებს, რომ საკმაო ჯარი ბაქოსთვის მოეწოდებიათ, ყოველი დაბრკოლებებს გარდა. ის მცირე რაზმები, რომელიც ინგლისელებს ხანიკენიდან ენზელამდის ყავდათ დაბანდებული, ქუჩუქხანის რაზმსაც ვერ უმკლავდებოდა. საჭირო იყო მესოპოტამიიდან გამოეყვანათ.

მანძილი ენზილიდან ხანიკენამდი დაახლოებით ცხრაას ვერსს უდრის და ხანიკენს იქით ინგლისის მთავარ შტაბამდის ორას ვერსზე მეტია.

რამდენი ხანი იყო საჭირო თუნდ ავტომობილებითაც ათას ვერსზე ჯარის გადაყვანა, ისიც სპარსეთის გზაზე, რომელიც შეუკეთებელი მირველყოფილ მდგომარეობაშია. მარტო „ასად-აბადის პერევალი“ 68 ვერსს უდრის და ისე ოც დაათ ორმოც ვერსიანი შეღმართ-დაღმართები ბევრია.

ამასთანავე ქერმანშახ ხანიკენს შუა გასავალი „კარებია“, სადაც ქურთებს მომარჯვებული პოზიცია აქვთ გამართული.

არ ვიცი, სპარსეთში მომქმედ ჩვენს ჯარს ძლივღა აწუხებდენ იმ „კარებში“ ქურთები. ვერაფერი ვერ მოუხერხა მათ რუსის ჯარმა და არა მგონია შახსევანებს და ქურთებს მენშევიკ-დაშნაკ-ესერების ხათრი მიეცათ და ინგლისელებთან მეგობრული განწყობილება დაეკავებიათ.

ისიც მთელი სპარსეთის მოქალაქენი ინგლისელებისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი.

აგრეთვე ინგლისელებს სპარსეთში ბენზინის საშინელი კრიზისი ჰქონდათ, ამას სხვათა შორის არც აიოლლო ჰფიცავს, როდესაც ამბობს, რომ ბაქოდან შეთანხმების შემდეგ გაუგზავნიათ ბენზინი ბაქოსთვის ჯარის მოსაყვანათ. თუნდ ბენზინი ბაქოდან შეეძლოთ წაეღოთ (ადრე ბოლშევიკები არ აძლევდენ) მაგრამ საკმაო ბენზინის მესოპოტამიაში მიტანას, იქ უბენზინობით დაუქმებული ავტომობილების ამუშავებას დრო უნდოდა. მტერი კი ამ დროს არ უცდიდა.

რაც შეეხება ურიცხვ ბრინჯს, სპარსეთის მცხოვრებნი ამ ბრინჯს ქუჩუქხანის შიშით არ აძლევდნენ. ვინც გაბედავდა და მისცემდა, იქვე სიკვდილით სჯიდნენ.

ყოველი დაპირება ინგლისელების უებრობაზე, მხოლოდ ბაქოელ მენშევიკ-ესერებ დაშნაკელების პოლიტიკური სიბეცე, ერთგვარი შანტაჟი იყო და მეტი არაფერი, რასაც შემდეგში დავინახავთ.

ივ. მი—ძე.

# რკინის გზა ნატანებიდან ოზურგეთამდე

საქართველოს პარლამენტის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ფრაქციის წევრმა ს. დოლიძემ წარმოადგინა კანონ-პროექტი ნატანებიდან ოზურგეთამდე რკინის გზის გაყვანის შესახებ. კანონ-პროექტს წინ უძღვის შემდეგი განმარტება: დღეს დღეობით თფილის-ბათუმის რკინის გზა ნატანებში შესწყდა... ბათუმს ჩამოეშორდით. ნატანები კი თავის თავათ არაფერ ცენტრს არ წარმოადგენს.

გურიის დედა ქალაქი ოზურგეთი კი სულ 18 ვერსით არის ნატანებზე დაშორებული. ოზურგეთთან რკინის გზით შეერთება აუცილებლათ საჭიროა. თუ

